№ 197 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეოთხე

ფასი 1 მანეთი. ხუთშაბათი 4 სექტემბერი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებანი)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. საჯაროდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით. კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბის განყოფილება

აცხადებს, რომ 22 სექტემბერს დღის 10 საათზე, ხსენებულ განყოფილების სამხედრო გზათა მიმოსვლის ნაწილში არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა 100 ფუთამდე ქაღალდისა (გაუქმებულ ლიტერებისა). საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მაუნველთ შეუძლიანთ დაწვრილებითი ცნობები მიიღონ მოხსენებულ გზათა მიმოსვლის ნაწილში ყოველ დღე გარდა უქმეების დღისა, დილის 8 საათ. შუადღეს 2 საათამდე 1273 3—1

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებისაგან

ოთხშაბათს 17, ხუთშაბათს 18 და პარასკევს 19 ენკენისთვეს 10 საათიდან, თანახმად 19 მუხლის საზოგადოების წესდებისა და 22 წარსულ აგვისტოს აქციონერების დადგენილებისა, მიიღება სამეურნეო ბანკში (ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6) და ამიერ-კავკასიის ბანკში (ლორის-მელიქოვის ქ., № 5) ხელის მოწერა საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების აქციებზედ. ახლავე უნდა შემოტანილ იქმნეს თითო აქციაზე მეორე ხვედრი ფული 50 მან. დანარჩენი ვადები დანიშნული იქნება აქციონერთა საზოგადო კრებისაგან.

გამგეობა.

1596 3—1

ოზურგეთის საგუბერნიოს ბუჰალტერო კურსები

20 ენკენისთვიდან 1919 წ. სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით ქალ. ოზურგეთში იხსნება 6 თვიანი, ერთდროული, საბუჰალტერო კურსები, სადაც მსმენელები მიიღებენ ცოდნას შემდეგ საგნებიდან: 1. ბუჰალტერია: ა) ზოგადი იტალიანური ორმაგი ბუჰალტერია, ბ) საკოოპერაციო ბუჰალტერია (ე. წ. „იეზერსკის" განძარტიებული სამმაგი წესით). გ) მუნიციპალური დაწესებულებათა ანგარიშობა ორმაგი წესით. 2. კომერციული არითმეტიკა. 3. ნოტარიული დოკუმენტები. 4. პოლიტიკური ეკონომია. 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. კალიგრაფია. მეცადინეობა იქნება კვირაში სამჯერ—საღამოობით. დაწვრილებითი ცნობები მიიღება გამგესთან დილის 8—2 საათამდე ერობაში, საღამოს 5—7 საათამდე ბინაზე, ქუთაისის ქ.

1283 1—1 კურსების გამგე **ვლ. ო. ჩხაიძე.**

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მას ესაჭიროება სტატისტიკური განყოფილების გამგე. მსურველმა უნდა გადმოგზავნოს განათლების ცნობა და curriculum vitae ქუთაისის სამაზრო ერობაში გამგეობის წევრის მ. გავაშელის სახელზე ერთი კვირის განმავლობაში. პირობები სამსახურისა: თვიური ჯამაგირი 2000 მ. და დღიური. 1562 3—3

ბოლჯომის სახელოსნო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ 1 ლ ენკენისთვიდან საჭიროა საზეინკლო განყოფილების ხელმძღვანელი, და სამჭედლო განყოფილების ხელმძღვანელი. მსურველებმა უნდა მიმართონ დაწვრილებითი პირობების გასაგებად სასწავლებლის მმართველს ქ. ბორჯომში. 1263 8—2

ხილნალის სამაზრო საერობო გამგეობა

იწვევს სამაზრო საერობო სკოლების გამგეს, თვიური ჯამაგირი 2.000 მ., მოგზაურობის დროს მიეცემა დღიური. თხოვნით და შესაფერი საბუთებით მსურველთ უნდა მიჰმართონ ზემოხსენებულ გამგეობას.

ხილნალის სამაზრო საერობო გამგეობა.

1560 3—2

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს ბავშვებს გიმნაზიის დაბალი კლასებისათვის. იქვე მუსიკის მასწავლებელი აძლევს გაკვეთილებს. მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვიდან. ცნობის მიღება და ჩაწერა მოწაფეებისა შეიძლება დავიდოვის ქუჩაზე, 36, დილის 9—10 სათამდე. 1248 5—2

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.

31 აგვისტო 1919 წ., № 84.

სახაზინო რკინის გზის ხაზზედ გზების უფროსს და სამსახურების ყველა უფროსებს.

ბრიტანეთის საგანგებო კომისარის გამომგზავრებამ ბათუმიდან ტფილისამდე, როგორც ერთნაირმა გამოცდამ ჩვენი რკინის გზების აგენტებისა, დამარწმუნა, რომ რკინის გზების მუშაობა თან და თან წესრიგდება და სდგება ნორმალურ კალაპოტში, აღვნიშნავთ რა იმ წესს და უნაკლულო ასრულებას დასახულ გეგმისას, რომელიც გამოჩენილი იყო ამ კერძო შემთხვევაში, ვუცხადებ სამსახურის სახელით მადლობას რკინის გზის უფროს ინჟენერ კანდელაკს, ექსპლოატაციის უფროსს აბელიშვილს, ლიანდაგის სამსახურის უფროსს ინჟენერ კარპოვიჩს, მეხანიკურ სამსახურის უფროსს ინჟენერ ოდიშელიძეს, მათ თანაშემწეებს მილიციის უფროსს ბერძენიშვილს, ყველა უბნების უფროსებს, მოძრაობის რევიზორებს, სადგურების უფროსებს და საზოგადოდ რკინის გზების ყველა აგენტებს, რომლებიც თავის მოვალეობის პირნათლად ასრულებით ხელს უწყობენ ჩვენი რესპუბლიკის რკინის გზების მოწესრიგებას და მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საგანგებო კომისარის მატარებლის ოთხმავალის ბრიგადებს ეს მადლობა ჩაეწეროს სამსახურის სიაში.

ეს ბრძანება გაკრული იქნას ყველა სადგურების, უბნის კონტორების, სამორიგო ოთახების თვალსაჩინო ადგილებზედ.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი

ბ. ჭიჭინაძე.

საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის სამმართველოს უფროსისა.

15 აგვისტოდან 1919 წ., № 43.

გამწესებულნი არიან: მოქალაქე ქალი პელაგია ჯაჯანაშვილისა და ყოფილი ფოსტა ტელეგრაფის მოხელეები: ანნა ფარულავა, თამარა მჭედლიშვილი და ანნა ჭედია ახლად მეექვსე ხარისხის მოხელეებათ დროებით დაქირავებით: პირველი სამნი ტფილისის ტელეფონის ქსელზე პირველ აგვისტოდან და ჭედია მანგლისის კანტორაში 16 აგვისტოდან 1919 წელს.

დანიშნული არიან: მლეთის განყოფილების უფროსი ლეონ (ლევან) კობაიძე მეექვსე ხარისხის მოხელეთ ტფილისის ტელეგრაფში—მეხუთე ხარისხის მოხელის თანამდებობაზე, აღმასრულებელი ძველი სენაკის განყოფილებისა თეოფანე კეკელია ნაქალაქევის განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად. მესამე ხარისხის მოხელე ტფილისის ტელეფონის კანტორისა ეგნატე (იგნატი) ღლონტი უნცროს მექანიკოსათ დაბალი ჯამაგირით იმავე კანტორაში. კობაიძე პირველ აგვისტოდან, კეკელია პირველ ივლისიდან და ღლონტი 16 აგვისტოდან 1919 წელს.

გადაყვანილნი არიან: ზედამხედველები: ხაშურის დავით მაჭარაშვილი, ტფილისის ტელეფონის ქსელის ტიმოთე ცომაია, ახალქალაქის პავლე შენგელია, აბაშის ვასილ მოსიძე, ყვირილის მიხეილ სულთანოვი—ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ფოთის მეხუთე ხარისხის ანტონ ხაბულავა, სოხუმის მესამე ხარისხის ვლადიმერ წვერავა და ფოსტალიონები: აბაშის ანეკოდისტე უჩანეიშვილი, ქუთაისის სერგო კუპრაშვილი, ტფილისის ფოსტის კანტორის გრიგოლ მიქაუტაძე და საჩხერის განყოფილების ხერგო ხვთისიევი და გრიგოლი ბეგალოვი იმავე წოდებებით. მაჭარაშვილი ახალქალაქში, ცომაია აბაშაში, შენგელია ხაშურში, მოსიძე ყვირილაში, ხუბულავა ახალსენაკში, უჩანეიშვილი გაგრაში, ბეგალოვი ქუთაისში, სულთანოვი ტფილისის ტელეგრაფში, ხვთისიევი ტფილისის ფოსტაში, წვერავა პილენკოვოში, კუპრაიშვილი და მიქაუტაძე საჩხერეში, წვერავა 1 აგვისტოდან, დანარჩენი თერთმეტი 16 აგვისტოდან. კუპრეიშვილი, მიქაუტაძე, ხვთისიევი და ბეგალოვი თანახმად თხოვნისა.

დათხოვნილნი არიან: ნაქალაქევის განყოფილების უფროსი იასონ ადამია, ფოსტა ტელეგრაფის მოხელეები სოხუმის კანტორისა: პირველი ხარისხის გრიგოლ ტურჩანინოვი, მეოთხე ხარისხის გაიკ ტერ-არუტინიანცი (ამინიანცი) მეხუთე ხარისხის ვასილ ზინოვიევი (აბრამოვი) და ფოსტალიონები ქუთაისის კანტორისა თამარა ნაზაროვისა, ანნა ჭრიალაშვილი, ელენე დადიანი, მარია მიქაბერიძე, ელენე პატარიძე და ელენე სანებლიძე; სულ ყველა ოთხი პირნი ადამიას გარდა შტატების შემცირების გამო—ადამია 1 ივლისიდან, ტურჩანინოვი, ზინოვიევი, ტერ-არუტინიანცი 14 აგვისტოდან. დანარჩენნი ექვსნი 16 აგვისტოდან.

გამორიცხულნი არიან სამსახურიდან: ფოსტალიონი ტფილისის რკინის გზის განყოფილებისა სოლომონ კერესელიძე სიკვდილის გამო 15 აგვისტოდან.

ოლქის უფროსი **მგელაძე.**

საქართველოს დემოკრატიულ მთავარ საბაჟოსი.

26 აგვისტო, 1919 წ. № 16,

ინიშნებიან: მთავარ საბაჟოში: მთავარ საბაჟოს თავისუფალი მოხელე ივანე არსენის ძე კანდელაკი ამავე საბაჟოს ბუღგალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, რეგისტრატორი ამავე საბაჟოსი აგაბო ადეიშვილი მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; თავისუფალი მოხელე მთავარ საბაჟოსი ერმალოზ ფარნაოზის ძე იაშვილი რეგისტრატორის თანამდებობის აღმასრულებელად. ფოთის საბაჟოს ბუხჰა ტერის უნცროსი თანაშემწე ვასილ მიქელაძე მთავარ საბაჟოს მოლარის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; ამავე საბაჟოს მდივნის უნცროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ალექ. პოდკოლზინა ნებადაურთველად ბათუმში წასვლისა გამო გადარიცხულია ხსენებულ თანამდებობიდან მანქანაზე მბეჭდავის თანამდებობის აღმასრულებლად.

ფოთის საბაჟოში: მთავარ საბაჟოს თავისუფალი მოხელენი: დავით ნოეს ძე კორძაია ბუღგალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად და რჩება მთავარ საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად; ანტონ ეფრემის ძე ყავაძე საწყობის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; რჩება მთავარ საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად, შალვა ნესტორის ძე გამყრელიძე საწყობის ზედამხედვლის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად და იგზავნება მთავარ საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად; ამავე საბაჟოს ბუღგალტრის უფროსი თანაშემწე კ. ჯინჭარაძე საწყობის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად ტფილისის ხაზინის პირველი ხარისხის ბუღგალტერი ნიკოლოზ ივ. გამსახურდია ბუღგალტრის უფროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; თავისუფალი მოხელენი: ამავე საბაჟოსი ვლადიმერ ივანეს ძე სოსელია რეგისტრატორის თანამდებობის აღმასრულებლად, და გიორგი გრიგოლის ძე მინაევი მემანქანის თანამდებობის აღმასრულებლად.

ხალიღლის საბაჟოში: მთავარ საბ. ოს ბუღგალტრის უმცროსი თანაშემწე შალვა თუხარელი გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

ზემო დასახელებულნი პირნი დანიშნულნი არიან ხსენებულ თანამდებობებზე 1 აგვისტოდან 1919 წ., გარდა კ. ჯინჭარაძისა, ნიკ. გამსახურდიასა, ვლ. სოსელიასი და გიორგი მინაევისა, რომელნიც ინიშნებიან 13 აგვისტოდან ამა წლისა.

მთავარ საბაჟოს გამგე **მიქაძე.**

ტფილისის მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარისა.

დანიშნულ იქმნენ: იოსებ დავითის ძე მაისურაძე, ტფილისის ოლქის სასამართლოს მდივანი, ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა ყრილობის სამსახურის გარეშე დროს მუშაობისათვის 1919 წ. 10 აპრილიდან.

ნიკოლოზ ბესარიონის ძე ნუცუბიძე ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა ყრილობის კანცელარიაში შტატ გარეშე მოსახურედ, გადამწერის თანამდებობაზე 1919 წ. 8 მაისიდან.

ქეთევან პეტრეს ასული წულუკიძე, ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა ყრილობის კანცელარიაში, შტატ გარეშე მოსამსახურეთ, მანქანაზედ მბეჭდავის თანამდებობაზე.

იოსებ დავითის ძე დევდარიანი სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა ყრილობის კანცელარიაში, მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად 1919 წ. 20 მაისიდან.

ვახტანგ ხარლამპის ძე სირბილაძე, სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა ყრილობის კანცელარიაში მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად 1919 წლის 1 ივნისიდან.

ბარბალე ივანეს ასული კვინიტაძე ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა ყრილობის კანცელარიაში, შტატ გარეშე მოსამსახურედ, გადამწერლის თანამდებობაზე 1919 წ. 1 ივნისიდან.

ვიკენტი ანტონის ძე ზამოისკი, ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მე-2 უბნის სასამართლოს ბოქაული ყრილობის კანცელარიაში მი-

სი სამსახურის მოვალეობისაგან ზედმეტი მუშაობისათვის 1919 წ. 5 ივნისიდან უბანში თანამოქმედების მოვალეობის აღსრულებისაგან განუთავისუფლებლად.

ნიკოლოზ გიორგის ძე ხატიშვილი, ტფილისის სასამართლო ოლქის მდივნის თანაშემწე, ტფილისის სამომრიგებლო ოლქის სასამართლოს ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად 1919 წ. 12 ივლისიდან სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა ყრილობის კანცელარიაში მუშაობის დავალებით.

ნიკოლოზ ალექსის ძე დვალიშვილი, სიღნაღის სამომრიგებლო უბნის სასამართლოს ბოქაული, ამავე თანამდებობაზე ტფილისის სამომრიგებლო ოლქში 1919 წ. 12 ივნისიდან.

გომელაურისა თამარ გიორგის ასული, ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა ყრილობის კანცელარიაში, შტატ გარეშე მოსამსახურედ გადამწერლის თანამდებობაზედ.

ნინო ვასილის ასული კვინიხიძე, ტფილისის სამომრიგებლო ოლქში სასამართლოს ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად 1919 წ. 23 ივნისიდან ყრილობის კანცელარიაში მუშაობის დავალებით.

ჩიხლაძე ელიზბარ სერაფიონის ძე, უწყების დამტარებლად ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მე 5 სამომრიგებლო უბანში 1919 წ. 26 ივნისიდან.

თამარ ზაქარიას ასული მაჭავარიანი, ტფილისის სამომრიგებლო ოლქში სასამართლოს ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად 1919 წ. 14 ივლისიდან ყრილობის კანცელარიაში მუშაობის დავალებით.

ჩაჩავასი ალექსანდრა ლეონტის ასული, სასამართლოს ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად 1919 წ. 14 ივლისიდან არქივში მუშაობის დავალებით.

მაჭუტაძისა ნინო ნიკოლოზის ასული ტფილისის სამომრიგებლო ოლქში სასამართლოს ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად 1919 წ. 1 აგვისტოდან, ყრილობის კანცელარიაში მუშაობის დავალებით.

გიორგი ალექსანდრეს ძე ბარამიძე, ტფილისის სამომრიგებლო ოლქის 4 საუბნო სასამართლოს მდივანი, ტფილისის სამომრიგებლო ოლქის სასამართლოს ბოქაულად 1919 წ 13 აგვისტოდან, ოლქის ყრილობის კანცელარიაში მუშაობის დავალებით.

ყრილობის თავმჯდომარე **გ. ტყემალაძე**

დადგენილება

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრისა.

31 ივლისს 1919 წ. დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა კანონი შესახებ აქციზის შემოღებისა ღვინოზე ახალი წესით. 16 და 18 მუხლები ამ კანონისა მავალებენ მე აღვნიშნო ის ქალაქები და დაბები, საცა უნდა იყოს შემოღებული აქციზი ღვინოზედა, დავყო იგინი ჯგუფ ჯგუფად გადასახადის რაოდენობის მიხედვით, რომელიც აქციზის სახით ღვინის ვაჭარმა უნდა შეიტანოს ხაზინაში პატენტის აღების დროს. ამიტომ ვაცხადებ რომ ქვემო აღნიშნულ ქალაქებში და დაბებში 15 ამ მარიამობისთვიდან იქნას შემოღებული აქციზი ღვინოზე და აქციზის რაოდენობა თითო ღვინის სავაჭროზე იყოს შემდეგი.

ა. ტფილისის მაზრა.

1.	კოჯორი	3.000 მან.
2.	მაგლისი	3.000 „
3.	აღბულაღი (ბელიკლიუჩი)	3.000 „
4.	ავჭალა	3.000 „
5.	საგარეჯო	3.000 „

ბ. ბორჩალოს მაზრა.

1.	შულავერი	4.000 მან.
2.	ეკატერინოფელდი	4.000 „

გ. სიღნაღის მაზრა.

1.	გურჯაანი	3.000 მან.
2.	ლაგოდეხი	3 000 „
3.	ველისციხე	3.000 „

დ. თიონეთის მაზრა.

1.	თიონეთი	3.000 მან.

ე. დუშეთის მაზრა.

1.	ქ დუშეთი	4 000 მან.
2.	ს. მცხეთი (სადგურით)	3.000 „

ვ. გორის მაზრა.

1.	ხაშური	6.000 მან.
2.	სურამი	5.000 „
3.	ბორჯომი, შავი წყლით	5.000 „
4.	ცხინვალი	4.000 „
5.	გომი (ზედა)	3.000 „
6.	ქარელი	3.000 „
7.	ხეითი	4.000 „

ზ. ახალციხის მაზრა.

1.	აბასთუმანი.	3.000 მან.
2.	აწყური	3.000 „

ი. შორაპნის მაზრა.

1.	ზესტაფონი.	6.000 მან.
2.	ჭიათური	4.000 „

კ. ქუთაისის მაზრა.

1.	ხონი	6.000 მან.

ლ. რაჭის მაზრა.

1.	ქ. ონი	3.000 მან.
2.	ამბროლაური	3.000 „

მ. ლეჩხუმის მაზრა.

1.	ცაგერი	3.000 მან.

ნ. სენაკის მაზრა.

1.	ახალი სენაკი	4.000 მან.

ფ. ზუგდიდის მაზრა.

1.	ზუგდიდი	6.000 მან.
2.	ანაკლია	3.000 „
3.	ხობი	3.000 „

ჩ. ოზურგეთის მაზრა.

1.	ოზურგეთი	4.000 მან.
2.	ლანჩხუთი	4.000 „
3.	ჩოხატაური	3.000 „

ჭ. სოხუმის ოლქი.

1.	ოჩემჩირი	6.000 მან.
2.	გუდაუთი	6 000 „
3.	გაგრი (ახალი და ძველი)	6.000 „

ფინანსთა მინისტრი **კ. კანდელაკი.**

ფინანსთა დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის აღმასრულებელი **ა. კანდელაკი.**

არა ოფიციალური განყოფილება

მიწათ-მოქმედების საგინისტროში.

აგრონომიული ყრილობა.

შესდგა პირველი სხდომა აგრონომიულ ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტისა, რომელმაც შეიმუშავა საქართველოს აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა ყრილობის, პროგრამის, და დებულების შემდეგი პროექტი. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულია პროფესორი ავალიანი.

I. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პირობების შესწავლის საჭიროება, როგორც საფუძველი ეკონომიურ და აგრონომიულ დადახმარების წესიერ ორგანიზაციისა;

1. საზოგადო და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გამოკვლევათა მნიშვნელობა და მიზანი (დანიშნულება).

2. ა) საბუნების მეტყველო.

ბ) სტატისტიკურ ეკონომიური.

გ) სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის შესწავლა გამოკვლევათა მეთოდების ერთგვარისა.

3. სასოფლო სამეურნეო რაიონების გამოკვლევა, შესწავლის წესრიგი, (სისტემა) და განხორციელება (ორგანიზაცია).

II. სასოფლო სამეურნეო პირობების გაუმჯობესება და სასოფლო-სამეურნეო ეკონომიური პოლიტიკის საკითხები.

1. მიწათ მფლობელობის და მიწათსარგებელობის პირობების გაუმჯობესება საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინტერესების თვალსაზრისით (მიწის დაქუცმაცებასთან ბრძოლა, იჯარა და სხ.)

2. მიელიორაცია (ჭაობების დაშრობა, სარწყავ არხების გამოყვანა, ტყეების დაცვა და გაშენება, ხევებთან ბრძოლადა სხ.):

ა) მელიორაციების მნიშვნელობა საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის.

ბ) სამელიორაციო სამუშაოთა განხორციელების წესრიგი და საშუალებანი.

გ) სამელიორაციო კანონმდებლობა.

3. სტიქიურ ხასიათის მოვლენათა წინააღმდეგ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ბრძოლის ორგანიზაციის საჭიროება (სეტყვა, საქონლის ჭირი, კალია, მინვდრის თაგვი და სხ.)

ა) წინაასწარი ზომები.

ბ) პირდაპირი ბრძოლის რადიკალური საშუალებანი.

გ) დაზღვევა და სხვა.

4. სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო სესხის მოწყობა.

5. სოფლის მეურნეთა სას.-სამ. მანქანა იარაღებით, საწამლავ მასალებით, თესლით და სხ. უზრუნველყოფა;

ა) ერობების და კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო საწყობები, მათი ორგანიზაცია, ურთიერთობა და გაერთიანება.

ბ) საჭირო მანქანების და მასალების შემოზიდვა.

გ) ადგილობრივ დამზადება (ადგილობრივი მრეწველობა).

6. კოოპერაცია და სასოფლო-მეურნეობა, (კოოპერაციის მნიშვნელობა სასოფლო-მეურნეობის აღორძინების თვალსაზრისით).

7. სას.-მეურნეობის ნაწარმოების დამუშავების და გასაღების საკითხი.

1. სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის საზოგადო გეზი და მიმართულება სას.-სამ. პიროებების სახელმწიფოებრივ და წვრილ მშრომელთა მეცნიერების ინტერესების მიხედვით.

2. გადასახადების საკითხი.

3. ბაზრის საკითხები, შინაური და გარეშე სავაჭრო პოლიტიკა სოსოფლო-მეურნეობის ინტერესების თვალსაზრისით.

4. საფინანსო და სატრანსპორტო პოლიტიკა სასოფლო-მეურნეობის ინტერესების თვალსაზრისით.

III. აგრონომიულ ორგანიზაციის ზოგადი საკითხები.

აგრონომიულ პერსონალის პროფესიონალური საჭიროებანი.

ცენტრალური და ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო დაწესებულებანი.

1. ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები.

2. ცენტრალური დაწესებულებანი, მათი დანიშნულება, ორგანიზაცია, ურთიერთობა.

3. ადგილობრივი დაწესებუთებანი, მათი დანიშნულება, ორგანიზაცია, ურთიერთობა.

4. ურთიერთობა ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა და მათ პერსონალის შორის.

5. სას.-სამ. საზოგადოებანი და სას.-სამ. კოოპერატივები; მათი ადგილი სას.-სამ. დაწესებულებათა სისტემაში.

სასოფლო-სამ. დაწესებულებათა ფინანსიურად უზრუნველყოფის საკითხები.

1. მთავრობის ფინანსიური მონაწილეობა სხ. და სხ. სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელებაში.

ა) სახელმწიფოს მხრივ ადგილობრივ დაწესებულებათა (ერობის, სას. სამ. საზოგადოებათა კოოპერატივებისა და სხ.) ფინანსიურ დახმარების სისტემა და საფუძველი.

ბ) სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ დაწესებულებათა შორის აგრიკულტურულ ღონისძიებებზე ხარჯების დანაწილება.

გ) ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის და ასრულების წესი.

დ) მთავრობის მიერ ადგილობრივ დაწესებულებათა განკარგულებაში აგრიკულტურულ ღონისძიებისათვის გადადებულ თანხების მეთვალყურეობა.

2. სამაზრო და საუბნო ერობათა შორის სას.-სამ. ღონისძიებათათვის საჭირო ხარჯების ურთიერთ შორის განაწილების სისტემა და საფუძველი.

3. ერობების მიერ სას.-სამ. საზოგადოებათა და სას. სამ. კოოპერატივებისათვის ფინანსიურ დახმარების აღმოჩენა.

სასოფლო-სამეურნეო საცდელი საქმე.

1. საზოგადო ხასიათის და სპეციალური. საცდელი სადგურების, საცდელი მინდვრების, ბაღების, ვენახების, ბოსტნების, საცდელი ნაკვეთების, კოლექტიური ცდების და სხვათა მნიშვნელობა.

2. სხ და სხ. ტიპის საცდელ დაწესებულებათა კავშირი და ურთიერთობა.

3. საცდელ დაწესებულებათა, მათი პროგრამის და მოქმედების დაკავშირება ადგილობრივ სოფლის მეურნეობასთან და წესიერ ურთიერთობის დამყარება სას.-სამ. სასწავლებლებთან, ადგილობრივ აგრონომიულ დახმარების დაწესებულებებთან და ცალკეულ, დაწესებულ კულტურულ მეურნეობებთან.

4. მიწათ მოქმედების სამინისტროს, ერობების და სას.-სამ. საზოგადოებების მონაწილეობა, სას.-სამ. საცდელ დაწესებულებათა მოწყობა, შენახვა, ხელმძღვანელობაში.

სასოფლო-სამეურნეო განათლება.

სასკოლო სას.-სამ. განათლება.

1. სას.-სამ. სასწავლებლების ამა თუ იმ ტიპის მნიშვნელობა. მიზანი და უახლოესი დანიშნულება და მათი ურთიერთ შორის დამოუკიდებლობა.

2. საზოგადო განათლების მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო განათლებისათვის და მათი ურთიერ შორის დამოკიდებულება.

3. სას.-სამ. სასწავლებლის ნორმალურ ქსელის შემუშავება და მისი განხორციელება.

4. მიწათ-მოქმედების სამინისტროს, ერობების და სხ. საზოგადოებრივ დაწესებულებათა და კერძო პირთა მონაწილეობა სას.-სამ. სასწავლებლის დაარსება, შენახვა, ხელმძღვანელობაში.

5. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების კავშირი და ურთიერთობა სას.-სამ. საცდელ დაწესებულებებთან და ადგილობრივ აგრონომიულ დახმარების ორგანიზაციებთან.

სასოფლო-სამეურნეო განათლების ზოგადი საკითხები:

1. სასოფლო-სამეურნეო განათლებას მოღვაწეთა მომზადება.

(სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების დამატებითი პედაგოგიური კლასები ან განყოფილებები, სპეციალური კურსები, კომანდიროვკები, პრაქტიკული სტაჟი და სხ.

ა) სხ. და სხ. ტიპის სამეურნეო სასწავლებლების პედაგოგიური პერსონალი.

ბ) საზოგადოებრივი აგრონომები.

გ) სკოლის გარეშე სას.-სამ. განათლების ხელმძღვანელები.

დ) საცდელი საქმის მოღვაწენი.

ე) სპეციალისტები, ტეხნიკოსები, და სხ.

პირდაპირი აგრონომიული დახმარება. აგრონომიულ დახმარების მოწყობის ზოგადი საკითხები.

1. სოფლის-მეურნეობის წარმატების ზოგადი კულტურული პირობები (წერა-კითხვის ცოდნა საზოგადო განვითარება) როგორც აუცილებელი პირობა სახელმწიფოს სასოფლო-მეურნეობის აღორძინებისა.

2. ადგილობრივ აგრონომიულ დახმარების ორგანიზაციის პრინციპები.

3. მიწათ-მოქმედების სამინისტროს, ერობების და სხ. ადგილობრივ დაწესებულებათა მონაწილეობა, აგრონომიულ დახმარების ორგანიზაციების მოწყობა,-შენახვაში, და მათი ურთიერთობა.

4. პირდაპირი აგრონომიული დახმარების ორგანოების ურთიერთობა სას.-სამ. საცდელ დაწესებულებებთან, სას. სამ. სასწავლებლებთან და კულტურულ მეურნეობებთან.

5. ერობათა აგრონომიულ სამოქმედო გეგმების და სახელმწიფო საზოგადო სასოფლო სამეურნეო პოლიტიკის მიმართულების ურთიერთი შეთანხმება.

6. კოლეგიური ორგანოების ადგილი ხალხისათვის აგრონომიულ დახმარების მომწყობ დაწესებულებათა სისტემაში. (ეკონომიური საბჭოები, აგრონომიული თათბირები და სხ.)

7. ადგილობრივ აგრონომიულ პერსონალის სპეციალიზაცია საქართველოს სხ. და სხ. რაიონების სასოფლო-სამეურნეო პირობებთან შეფარდებით.

8. სამინისტროს და ერობების აგრონომები და სპეციალისტები; მათი მოქმედების შეთანხმება და ურთიერთობა.

9. საერობო კოოპერატივების და სას.—სამ. საზოგადოებათა აგრონომიულ პერსონალის მოქმედების ურთიერთან შეთანხმება.

10. დამხმარე აგრონომიული პერსონალი (აგრონომას თანაშემწე, ინსტრუქტორი, აგრონომიული სტაროსტა, პრაქტიკანტი და სხ.) და მისი ურთიერთობა აგრონომიულ პერსონალთან.

11. აგრონომის მუშაობის მეთოდები.

12. აგრონომიულ პერსონალის შრომის

13. აგრონომის მუშაობის და მისი მოღვაწეობის შედეგების რეგისტრაციის საშუალებანი და აგრონომიულ პერსონალის ანგარიშების ერთგვაროვნობის შემოღება.

14. აგრონომიულ პუნქტების და აგრონომიულ კაბინეთების მოწყობილება.

სას.—სამ. ცოდნათა სკოლის გარეშე გავრცელება:

1. სკოლის გარეშე ცოდნათა გავრცელების მნიშვნელობა და უახლოესი დანიშნულება.

2. სკოლის გარეშე სას.-სამ. ცოდნათა გავრცელების მეთოდები და საშუალებანი (ბიბლიოთეკა, მუზეუმი, მატარებელი, სახალხო უნივერსიტეტი, და სხ.);

ა) ცოცხალი სიტყვა (ლექცია, საუბარი, წაკითხვა და სხ.)

ბ) ბეჭდითი სიტყვა (პოპულიარულ ჟურნალის, ბროშურების, ფურცლების, პლაკატების, სახელმძღვანელობის გამოცემა და სხ.)

ვ) საზოგადო და სპეციალური, მოკლე და კერძო ვადიანი სასოფლო სამეურნეო კურსები.

დ) ჩვენება (საჩვენებელი მინდორი, ბაღი, ვენახი, ბოსტანი, დემონისტრაცია და სხ.)

ე) წასაქეზებელი საშუალებანი (გამოფენა, კონკურსი, თესლის, მინერალურ სასუქების, ნამყენების, შესაწამლ მასალების და სხ.) მუქთად ან დაკლებულ ფასებში დარიგება და სხ.

3. კავშირი სასკოლო სასოფლო სამეურნეო განათლებასთან და საზოგადო სკოლის გარეშე—განათლებასთან.

4. ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა მონაწილეობა ხალხში სკოლის გარეშე სასოფლო-სამეურნეო ცოდნათა გავრცელების საქმის მოწყობა, შენახვაში.

სასოფლო-სამეურნეო გამომცემლობა.

1. საზოგადო აგრონომიულ საკითხებზედ სახელმძღვანელო ჟურნალის და პოპულიარულ ჟურნალების გამოცემა.

2. სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა (სამეცნიერო და პაპულიარული).

3. სამეურნეო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია სასოფლო (სამეცნიერო და პაპულიარულისა).

სახალხო განათლების სამინისტროში.

ტანთ-ვარჯიშობის პროგრამის შემუშავება.

ტანთ-ვარჯიშობის მთავარ გამგემ გ. ეგნატაშვილმა შეიმუშავა საშუალო და დაბალ სასწავლებლებში ტანთ-ვარჯიშობის სწავლების პროგრამა, რომელიც მოკლე ხანში დაეგზავნება რესპუბლიკის საშუალო და დაბალ მასწავლებლებს სახელმძღვანელოთ.

ქართული სახელმძღვანელოები.

ტანთ-ვარჯიშობის მთავარმა გამგებლობამ შეიმუშავა ტანთ-ვარჯიშობის სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე.

სახელმძღვანელოები დაიბეჭდება და გასასყიდათ გამოვა.

ტანთ-ვარჯიშობის მასწავლებლები.

მთავარი გამგეობა არკვევს ტანთ-ვარჯიშობის მასწავლებელთა მასწავლებლობის რიცხვს და ნიშნავს მათ სხვა და სხვა სასწავლებლებში.

სავარჯიშო იარაღები

მთავარი გამგებლობა ამ ჟამად არკვევს, თუ რამდენი და რადარა სატანთ-ვარჯიშო იარაღი მოეპოვება რესპუბლიკის თითეულ სასწავლებელს, რათა ზომები მიიღოს იარაღის შესაძენათ იმ სასწავლებლებისთვის, რომელთაც იარაღი არ მოეპოვებათ.

საზ-ება „შევარდენ"-ის გახსნა ქუთაისში.

ქუთაისს გაემგზავრა ტანთ ვარჯიშობის მთავარ გამგებლობის წარმომადგენელი დავით ჯავრიშვილი, რომელსაც დავალებული აქვს, გამოარკვიოს, თუ რა პირობებშია ქუთაისის სასწავლებლებში ტანთ-ვარჯიშობის სწავლების საქმე. მასვე აქვს დავალებული ქუთაისის სასწავლებლების სატანთ ვარჯიშო ინვენტარის რაოდენობის გამორკვევა. მისივე ხელმძღვანელობით ქუთაისში გაიხსნება სატანთვარჯიშო საზოგადოება „შევარდენი".

სატანთ-ვარჯიშო კურსები.

მთავარ გამგეობას განზრახული აქვს ახლო მომავალში ტფილისში გახსნას დროებითი კურსები ტანთ-ვარჯიშობის მასწავლებელთა მოსამზადებლათ. კურსებისთვის შესაფერი პროგრამას უკვე იმუშავებს მთავარი გამგებლობა. პროგრამის დამუშავების შემდეგ შეუდგება კურსების მოწყობას.

სატანთ-ვარჯიშო გამოსვლები.

ტფილისის სატანთ-ვარჯიშო საზოგადოება „შევარდენი" მოკლე ხანში აწყობს გამოსვლა-დღესასწაულს. მოაწყობს ტფილისსა, ფოთსა, ქუთაისსა და გორში.

„შევარდენი"-ს განყოფილებების გახსნა ტფილისში.

რადგანაც „შევარდენი"-ს საზოგადოებაში ვარჯიშობის მსურველი დიდძალი აღმოჩნდა და ხსენებულ საზოგადოებას ვერ შეუძლია ყველას დაკმაყოფილება, მიმდინარე თვეში იხსნება „შევარდენი"-ს 2 ახალი განყოფილება: სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ვაჟთა პირველ გიმნაზიასთან.

„შევარდენი" პროვინციაში.

დიდ ჯიხაიშში გიორგი ნიკოლაძის თაოსნობით გაიხსნა სატანთ-ვარჯიშო საზ. „შევარდენი".

სატანთ-ვარჯიშო ტერმინოლოგია.

ტანთ-ვარჯიშობის მთავარმა გამგეობამ უკვე შეიმუშავა სატანთვარჯიშო ტერმინოლოგია, რომელიც რუსულ ტერმინოლოგიასთან ერთათ დაიბეჭდება და გასასყიდათ გამოვა.

იუსტიციის სამინისტროში

აჯაღლობა.

იუსტიციის სამინისტროს ატყობინებენ, რომ ჩხარის რაიონის საზღვრებზე ტყვიბულ-მუხუსის გზაზე 17 აგვისტოს აჯაღლობა ბრბომ 40 მდე მგზავრი გაძარცვა.

ზუგდიდის მაზრის კომისარის მკვლელების შეპყრობა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი იუსტიციის სამინისტროს დეპეშით აუწყებს რომ ზუგდიდში შეიპყრეს მაზრის კომისარის ქეშელავას 2 მკვლელი.

ბ-ნ. ე. პ. გეგეჭკორის ავათმყოფობა.

იუსტიციისა და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ე. პ. გეგეჭკორი ავად გახდა.

ქალაქთა კავშირში.

აცრა.

მთავარ კომიტეტის აღმასრულებელმა ბიურომ წინადადება მისცა ქალაქთა კავშირის ცენტრალურ ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიას რათა მიმდინარე წლის შემოდგომის თვის დაამზადოს ასაცრელი მასალა.

დელეგატები.

პროფესიონალურ კავშირების სეკრეტარიატის წინადადების თანახმათ, სახალხო უნივერსიტეტის საბჭოში დელეგატებათ გაიგზავნა ქალაქ. კავშირის მთავარი კომიტეტის წევრები: ა. რ. ჯაჯანაშვილი და გ. მურვანიძე და ჟურნალ „კავკასიის ქალაქის" რედაქციის მდივანს ა. ს. ბრიტნევი.

კანონთა კრებული.

ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის თამჯდომარეს ნ. ზ. ელიავას და იმავე კომიტეტის მდივანს ვ. ა. მადისონს აღმასრულებელმა ბიურომ მიანდო შეადგინონ კანონთა კრებული ადგილობრივ თვითმართველობის საკითხების შესახებ, გამოცემულის რესპუბლიკის საკანონმდებლო დაწესებულებათა მიერ.

1.000 მანეთის გადადება.

ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის აღმასრულებელმა ბიურომ 1.000 მან. გადასდო სანდრო მაისურაძის სახელობის სამკითხველოს სასარგებლოთ და წინადადება მისცა ჟურ. „კავკასიის ქალაქის" რედაქციას უფასოთ გაუგზავნოს ხსენებულ სამკითხველოს ჟურნალი.

საბიუჯეტო კანონ-პროექტი.

ქალაქთა საბიუჯეტო უფლების კანონპროექტის შესამუშავებლათ აღმასრულებელმა ბიურომ დაადგინა მოაწყოს მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ზ. ელიავას თავმჯდომარეობით კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ქალაქის თავის ამხანაგი კონიევი, თვითმართველობის წევრი ფანიევი, დამფუძნებელი კრების წევრი ი. თ. ჭავჭანიძე, ერობის გამგეობის თავმჯდომარე დ. ე. ონიაშვილი და მთავარ კომიტეტის იურის კონსულტი ე. ა. მადისონი. კომისიას უფლება აქვს მიიწვიოს სხვებიც.

ჟურნ. „მუშათა ცხოვრება".

ქალაქთა კავშირის მოსამსახურეთა კომიტეტმა დაადგინა უფასოდ გაავრცელოს მოსამსახურეთა შორის ჟურ. „მუშათა ცხოვრება".

მუნიციპალური ცხოვრება

სოხუმის ქალაქის საბჭოში.

1919 წ. აგვისტოს 9-ს შესდგა სოხუმის ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელმაც დაადგინა:

მოიწვიოს ანუას მაგიერ მის შემდეგ სიაში მოხსენებული დ. გ. ჭანტურია, შვარცის მაგიერ ლ. ა. მეკლური და ბინის სამომრიგებლო კამერაში კინწურეიშვილის მაგივრათ ი. მ. კედია.

1919 წ. 1 ივნისიდან მომატებულ იქნას ფასი ელექტრონის განათებაზე: პირველი კათეგორიის 1 მ. 60 კ. კილოვ., მეორე კათეგორიის 1 მ. 20 კ. კილოვ.

ეთხოვოს თვითმართველობას მიიღოს ყოველ-გვარი ზომები რათა ერთი თვის განმავლობაში მოეწყოს ქუჩების ნორმალური განათება.

მიენდოს ხალხის ჯანსაღობაზე მზრუნველ კომისიას, რათა მან თვითმართველობასთან ერთად დაადგინოს სასანიტარო გადასახადის რაოდენობა ორივე კათეგორიიდან და გაანაწილოს იგი ორივე კათეგორიების პირთა შორის.

მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა გადიდებულ იქნას შემდეგ სხდომამდე და ეთხოვოს თვითმართველობას, თუ შესაძლებელია ამის შესახებ გამოაცხადოს ტფილისისა და ქუთაისის გაზეთებში

მიენდოს თვითმართველობას შემდეგ სხდომისთვის შეიმუშაოს საბინაო განყოფილების მოწყობის საკითხი.

ეთხოვოს თვითმართველობას კერძო შემოხვევებში მიიღოს ზომები რათა ბინების რეკვიზიციის დროს დაცული იქნეს სამართლიანობა.

უცხოეთში

(საქ. დეპ. საგ.).

ენკენისთვის 3

იტალიური პრესა.

„პოპოლო რომანო" იუწყება: ლოიდ ჯორჯმა საგანგებო მოწვეულება გაუგზავნა, ტიტტონის, რომ მასთან დღე გაატაროს ტრუვილში. ტიტტონი უკვე გაემგზავრა ტრუვილში. გაზეთების სიტყვით, მათ საუბარს დიდი მნიშვნელობა ექნება.

ვაშინგტონიდან მიღებული ცნობებით, სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ ვერსალის ხელშეკრულებაში ზოგიერთი შესწორება შეიტანა, რის გამოც ხალხთა ლიგის სხდომებზე შეერთებულ შტატებს იმდენივე წარმომადგენელი ეყოლება, რამდენიც ინგლისს.

უმაღლესმა საბჭომ დაამთავრა ავსტრიის ხელშეკრულების თანდასაყოლებელ წერილის განხილვა. ავსტრიისთვის გადასაცემი ხელშეკრულება დაბეჭდილი იქნება იტალიურ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

ეს არის ეხლა გამოიცა მეფის დეკრეტი წერაკითხვის არ მცოდნე შრომის უნარ დაკარგულთათვის ეროვნულ ინსტიტუტის დაარსების შესახებ, რაც საშუალებას მისცემს ჯარიდან განთავისუფლებულს საჭირო სწავლა შეიძინონ და ამნაირად სამუშაო იშოვნონ.

გიბრალტარში მოვიდა ამერიკის სამხედრო მისია, რომელიც სომხეთში მიემგზავრება იქაურ ცხოვრების პირობების გასაცნობად, იმ პასუხისმგებლობის გამო, რომელსაც ამერიკა იკისრებს, თუ ის დათანხმდა სომხეთის მანდატის მიღებაზე, რის წინადადებაც ამერიკამ ხალხთა ლიგისაგან მიიღო.

„ნახრიხტენ ფრენდებლატ"-ში თავადი ბიულოვი აღიარებს, რომ ძალა-უფლების ბეტმან ჰოლვეგის ხელში გადასვლის შემდეგ ომი აუცილებელი გახდა. ბიულოვი ამტკიცებს რომ რუსეთის უკმაყოფილება გამოიწვია მხოლოდ გერმანიის აღმოსავლეთის პოლიტიკამ და გენ. სანდერსის მისიამ სტამბოლში. ბიულოვი ბეტმანს ჰკიცხავს იმის გამო, რომ ის თვალ დახუჭული მისდევდა ავსტრიის მთავრობის პოლიტიკას.

ტორენტოში მოელიან სპარსეთის შაჰს, რომელიც ინგლისის [illegible] ჩამოვა.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჩერნოგორიაში მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა. ყველგან ბრძოლა ხდება სერბიელებთან. ჩერნოგორიელებმა გადასჭრეს ვარბაზარ-ინტავარის რკინის გზა; ამ ნაირად ორივე მხარეს დიდი საფრთხე მოელის. სერბიელები... (გამოტოვებულია) თავის ჯარი ჩერნოგორიაში. მათი მოქმედება ჩერნოგორიელთა შორის მათდამი სიძულვილს იწვევს.

მოსკოვი, ენკენისთვის 2 ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

მოსკოვი, სექტემ. 2. სამხედრო ობაცნ. ჩრდილოეთის ფრონტი. ჩვენმა ჯარმა სადგ. ემეცი დასტოვა. დასავლეთის ფრონტი. გდოვისკენ ვუტევთ. ბობრუისთან მტერი მდ. ბერეზინას მარცხენა ნაპირზე გადმოვიდა. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი. მოწინააღმდეგემ აიღო კიევის განაპირა უბნები სამხრეთის მხრით. ბრძოლა გრძელდება. სამხრეთის ფრონტი. ჩვენმა ჯარმა პოვორინო-ლისკის რკინისგზის მთელი ხაზი აიღო და შეტევას განაგრძობს. ცარიცინის ჩრდილოეთით 110 ვერსის მანძილზე მდ. ვოლგის მარჯვენა ნაპირზე ჩვენმა ჯარმა დუბოვკა აიღო. მოწინააღმდეგე ცარიცინს სცლის. აღმოსავლეთის ფრონტი. ჩვენმა ჯარმა ცარევი აიღო. ორსკისა და ორენბურგის რაიონში წინსვლას განვაგრძობთ და სოფლებს ვიღებთ. ორსკში 3000 ზე მეტი ტყვე წამოვიყვანეთ, ხელთ ვიგდეთ ტყვია წამალი, ზარბაზნის ყუმბარები, ტყვიის მფრქვეველები და თოფები. დანარჩენს ნაწილებში შეტევას განვაგრძობთ. პეტრო-პავლოვსკის მიმართულებით $1^1/_2$ მილიონ ფუთზე მეტი პური ჩავიგდეთ ხელში.

ლიონი. სექტ. 1. გენ. იუდენიჩმა გენ. ბალახოვიჩის შტაბი დააპატიმრა. ბალახოვიჩმა გაქცევა მოასწრო. საბჭოთა ჯარის მიერ პსკოვის და იამბურგის აღების გამო თეთრები ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ.

ლიონი სექ. 2. საზავო კონფერენციის წრეებში საერთო უკმაყოფილებას იწვევს ავსტრიის ხელშეკრულება, რომელიც გერმანიის ხელშეკრულების მიხედვითაა შედგენილი. მას ნაკლებად შესაფერად სთვლიან ისეთი შედარებით მცირე სახელმწიფოსთვის, როგორიცაა ავსტრია. ხელშეკრულების თანდაყოლილი წერილი ომის პასუხისმგებლობას აკისრებს. ავსტრიას და მოკავშირეებს უფლებას ანიჭებს მოსპონ ყოველივე პროპაგანდა გერმანიასთან ავსტრიის გაერთიანების შესახებ.

ნაუენი, აგვ. 31. სერჟანტ მანჰეიმის მკვლელობის გამო გერმანიამ 1 მილიონი მარკა უკვე გადაიხადა.

ნაუენი. სექ. I. შვეიცარიის რკინის ჩამომსხმელ მუშათა კავშირის კონფერენციამ გადასწყვიტა საბჭოთა რუსეთთან კავშირი აღადგინოს. კონფერენციის დელეგაციამ ეს გადაწყვეტილება აცნობა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის ადსადგენად ბლოკადის დარღვევის ცდა მოკავშირეებთან ომს გამოიწვევს. ამერიკული რადიო იუწყება, რომ მთელ ევროპაში ტელეგრაფი და ტელეფონი წესიერად არ მუშაობს. მთელი ფრანგული პრესა გამოსავალს ეძებს საფრანგეთში არაჩვეულებრივად გაზრდილ სპეკულაციისაგან.

მოსკოვი (გაგრძელება). ირლანდიის დამოუკიდებლობის მომხრეებმა მრავალ ადგილს ესროლეს მთავრობის წარმომადგენლებს.

გერმანიაში ქვა-ნახშირის სიმცირე თანდათან ძლიერდება. რკინის გზელთა შორის კომუნისტური სულიერი განწყობილება ძლიერდება. მოელიან რკინის გზელთა საერთო გაფიცვას. უცხოეთის გაზეთების ცნობით, ინგლისში ქვა-ნახშირის მაღაროების მუშების გაფიცვა იზრდება. იორკშირსა, მერბშირსა და დელშირში 45.000 მუშა გაიფიცა. დაადგინეს არ განაახლონ მუშაობა, სანამ მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგები არ გამოირკვევა. რუფორდის მაღაროებში, ვილბსკში და მანსფილდში გაფიცვები დაიწყო.

მაღაროს მუშებმა მრავალ ადგილას რეზო-

ლიუციები გამოიტანეს რუსეთის საქმეებში ჩარევის საწინააღმდეგოდ. ინგლისის სატრანსპორტო, რკინის გზის და მაღაროს მუშების გაერთიანებულმა კავშირებმა შეკითხვით მიმართეს ყველა მუშებს, თანახმა არიან თუ არა ისინი შესწყვიტონ მუშაობა, რათა მთავრობა აიძულონ უარი განაცხადოს კაპიტალისტების ზურგის გასამაგრებლად, და რუსეთის საქმეებში ჩარევის და მუშათა მღელვარების დროს მექარხნეების მხარის დასაჭერათ სამხედრო ბეგარის შემოღებაზე.

პენზა, აგვ. 27. გამოქცეულთა ცნობით, დენიკინის ჯარში ჩვენი გამარჯვების გამო დეზერტირობამ და ძარცვა-გლეჯამ ფართე ხასიათი მიიღო. ყაზაღთა ახალგაზრდობა ჩვენს ლიტერატურას გატაცებით კითხულობს.

ლიონი. ენკენ. 2. (ამერიკული რადიო). მთელ ცენტრალურ ევროპაში და საფრანგეთში ტელეგრაფის და ტელეფონით ცნობების მიღების შეუძლებლობის გამო პარიზი უნგრეთისაგან სრულიად მოწყვეტილია. საზავო კონფერენციამ ამიტომ ნამდვილად ვერ შეიტყო ბუდაპეშტში ამ 3—4 დღეში მომხდარი ამბები და რუმინელებისაგან არავითარი პასუხი არ მიუღია იმ ნოტაზე, რომელიც მოკავშირეებმა გაუგზავნეს ზარალის ანაზღაურების შესახებ

სხვა და სხვა.

✦ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი იწვევს ინტელიგენტ პირთ დამფუძნ. კრების სხდომების ოქმის შემდგენელთა თანამდებობაზედ. საჭიროა ქართული ენის კარგად ცოდნა და ხელმარდი წერა. ჯამაგირი თვიურად 1.500 მან. დანარჩენი პირობების გაგება შეიძლება დამფუძ. კრების კანცელარიაში.

✦ სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი კ. ე. ანდრონიკაშვილი დაბრუნდა და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

✦ ინგლისის პოლიტიკურ მისიის თავმჯდომარე მისტერ ოლივერ უორდროპი საადარბაზოთ ბრძანდებოდა საქართველოს რესპუბლიკის ყველა მინისტრებთან, ქათალიკოს პატრიარქ ლეონიდთან და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელებთან.

✦ როგორც ქუთაისიდან იტყობინებიან თავის მამულში ვერაგულათ მოუკლავთ პარმენ თვალპრელიძე მწერლობაში „ცახელის“ ფსევდონიმით ცნობილი.

✦ გორის სამასწავლებლო სემინარიაში მისაღები და გადასაყვანი გამოცდები დაიწყება 8 ენკენისთვეს, სწავლა-15. სემინარიაში იქნება 30 კაცის ბინა, სასადილო ჭურჭლით, სამზარეულო უშეშოთ, მზარეული; ყველამ საკუთარი ლოგინი უნდა იქონიოს აუცილებლად.

✦ კონცერტი ქართულ კლუბში. პარასკევს 5 სექტემბერს ალ. მაისურაძის მომღერალთა გუნდი ლ. ჯანდიერის მონაწილეობით გამართავს კონცერტს, შესრულდება ურმული, ბერიკაცი, ზამთარია, და სხვა.

✦ 2 სექტემბერს 12 ს. და 3 წ. ტფილისში ოდნავ იძრა დედამიწის ზედაპირი.

წერილი რედ. მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ქვემოთ დასახელებულ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და ს. ბახვის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ თავიანთ ნაცნობთა შორის შეკრიბეს 1) ანეტა მგელაძისამ 40 მ. 2) სარდიონ მგელაძემ 60 მ. 3) გერასიმე ნაკაიძემ 22 მან. 50 კ. 4) ათინო სადრაძისამ 40 მან. 50 კაპ. 5) დარეჯანა ბერეჟიანმა თავის გარდაცვალებული ძმის (მეკიკა) მელქისადექის სახელის აღსანიშნავად 50 მანეთი და 6) შვიდობაურის კოოპერატივმა 42 მან. 50 კ.

აგრეთვე ულრმეს მადლობას ვუძღვნით მთელი გამგეობის სახელით ყველა იმ შემომწირველთ, რომლებმაც არ დაზოგეს თავიანთი წვლილი და ამით საშუალება მისცეს ღარიბ მოწაფეებს სწავლის გაგრძელებისა.

პატივისცემით ს. ბახვის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ეკატ. ასათიანი.

რკინის გზაზე.

2 სექტემბერს, დღის პირველ საათზე სასწრაფო მატარებლით № 6 რომიდან ტფილისში ჩამოვიდა პაპა ბენედიქტის დიპლომატიური წარმომადგენელი ანტონ დელფუშე.

—

2 სექტემბერს, დილის 10 საათ. ქუთაისიდან ტფილისში დაბრუნდა საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე ჯაფარიძე.

—

2 სექტ. დილის 7 საათ. ბათუმიდან ტფილისში ჩამოვიდა 7 კაცისგან შემდგარი ამერიკელთა მისია.

—

1 სექტემბ. საღამოს სად. იალალიიდან ჩამოვიდნენ ლტოლვილი მოლოკნები. 2 სექტემბ. ისინი გაიგზავნენ 16 ვაგონით ყარსში თავის ძველ ბინებზე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

თხოვნა

ლიუდა თედორეს ასული ნაკაშიძისა—ანდრეა სთხოვს უცნობ ქართველ ექიმს, რომელსაც მან გამოატანა ხარკოვიდან შვილის სურათი ქუთაისში ეფროსინე ნიკოლოზის ასულის ნაკაშიძეზე. მისამართი: ქ. ქუთაისი, ბაღის შესახვევი მესტროკოვის სახლი.

ელისაბედ იოსების ასული ენიკოლოფოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საბუთები მამულზე, რომელიც უანდერძა მას ნიკოლოზ სპირიდონის ძე ენიკოლოფოვამ, სახელდობრ: სამი სიმტკიცეს მოწმობა აღნიშნული 1) 1903 წ. ივლ. 26, რეესტ. № 1817 2) 1896 წ. ივლისის 17, რეესტრი 1139 3) 1875 წ. ოქტომბრ. 24, რეესტრი № 1139 და ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული 1907 წ. იანვრის 17-ს რეესტრი 92 და აგრეთვე თვით ანდერძი, დამტკიც. ტფილ. ოლქ. სას. მიერ 1879 წ ოქტომბრ. 12, № 16056 და შედგენილი 1907 წ. იანვრის 13-ს, რეესტ. № 287. 1280 3—1

ალექსანდრე ივანეს ძე კოკაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიდაც იყო 300 მან. და პირადობის მოწმობა. მიღებული ახალ-სენაკის მაზრის უფროსისაგან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1236 3—3

ნიკოლოზ ბრონისლავის ძე ტაბენცკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტფილისის ქალ. მილიციის სამმართველოდან 1918 წ. მაიის 24 ს № 1568. 1290 3—1

ანდრია ივანეს ძე გავრილენკო აცხადებს, რომ მან დაკარგა პირადობის მოწმობა მიღებული კერშენის მილიციის სამმართველოდან, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1259 3—2

დავით მიხეილის ძე მინდაძე აცხადებს, რომ მთავარ ფოსტაში მან დაკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, პარტიული ბილეთი და სხვა კვიტანციები. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს ფოსტის უფროსის კანტორაში მინდაძეს. 1254 3—2

ტამირა ბამა-ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ერევნის მაზ. სოფ. ყორბოხაზის სოფლის მამასახლისისაგან თვის და მის ცოლის სახელზე, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1275 3—1

პეტრე ივანეს ძე იუსტაევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა № 99, რუსეთის ქვეშორდომის მოწმობა და ექვსი თვის პასპორტი. მოწმობები და პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 1276 3—1

პავლე სტანისლავის ძე დათუბაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ბაქოს მილიციის სამმართველოსაგან. პასპორტი ჩაითვალოს გაუქმებულად. 1278 1—1

ივანე კონსტანტინეს ძე დავიდოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა, პასპორტი და კოჩინიევის აღმასრულებელი ფურცელი, რაც გაუქმებულად ჩაითვალოს. 1282 3—1

28 აგვისტოს ღამით 9 საათზე, ლოტკის გორაზე თავს დაესხნენ პეტრე ანტონის ძე თელიევს; ფულთან ერთად გაიტაცეს ქალაქის თვითმართველობის საჯარო ხელშეკრულობის ქაღალდები, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1267 3—2

დიმიტრი ივანეს ძე კაუკიევიჩი აცხადებს, რომ მან დაკარგა ატესტატი № 891, მიღებული ტფილისის ვაჟთა მე 2 გიმნაზიის კანცელარიიდან 1916 წელს, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1257 3—2

აკსელ ვალტერი აცხადებს, რომ მან დაკარგა ატესტატი მიღებული ტფილისი, ვაჟთა მე 4 გიმნაზიიდან 1915 წელს, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს 1258 3—2

პავლე სპირიდონის ძე სხირტლაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული მილიციის სამმართველოდან, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1259 3—2

იოსებ ბეგლარის ძე ლეჟავა აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი, მიღებული 1916 წ. ხონის სასოფლო სამართველოდან, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1250 3—3

შაბათ აბრამის ძე როკეტლიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 4438, მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან 1918 წ. აგვისტოს 23 ს. 3—3

ვასილი ოქროპირის ძე ხიცურიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1238 3—3

ბერსამე გაბრიელის ასული ტერ-გეორქიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 730. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1235 3—3

ივანე მელაქოს ძე ვარძელოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 1. ნასყიდობის სიგელი, შედგენილი უმცროს ნოტარიუს მაჭავარიანთან 1917 წ. ივნისის 21 ს—ნაქ. წიგ. № 41, რეესტრი № 5339. 2. ნასყიდობის სიგელი, შედგენილი მისა ტრილის დასა სოლომონის ასულის ვარძელოვას სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სას. უფროს ნოტარიუსის მიერ 1908 წ. დეკემბ. 22 ს, რეესტ. № 2800 და მფლობელობის ფურცელი. 1246 3—3

იგნატი სამუილის ძე დალკოვსკი აცხადებს, რომ მან, დაჰკარგა პასპორტი და უფასო პურის მიღების მოწმობა. პასპორტი და მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1277 3—3

ვარლამ გამყრელიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა № 472 „ნაგანის“ სისტემის რევოლვერის № 134202 ტარებისა და პირადობის მოწმობა № 101, მიღებული 1919 წ. 1062 3—3

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო, თანახმად ალექსანდრა მიხეილის ასულის აბესაძის განცხადებისა, რომელთაც დაუკარგავს მოწმობა რვა (8) კლასის გათავების № 240 და მეტრიკული ამოწერილობა № 290. რომლებიც მას ქონია აღებული ქუთაისის საქალაქო წმ. ნინოს სასწავლებლიდან 1909 წელში, სთხოვს მნახველებს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში. 1532 3—3

ანდრია იოსების ძე კოშორიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა № 12174, მიღებული 15 აგვისტოს 1918 წ. ტფილისის სამხედრო უფროსის კანცელარიიდან, იმაში რომ პოდპორუჩიკი კოშორიძე არის სათადარიგო რაზმში ჩარიცხული. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1242 3—3

ტფილისის ქალაქის გამგეობა საუოველთაოდ აცხადებს,

რომ თანახმად სანიტარული გადასახადის მოკრეფის წესების მე 11 მუხლისა, მან დაამტკიცა ზემოხსენებული გადასახადის განაწილება შემდეგ სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა შორის: ბითუმათ მოვაჭრეთა, ხალიჩების მაღაზიებისა, სამლეგბროებისა, კარეტებისა და თვლების გამკეთებელ სახელოსნოებისა, ნაბდით მოვაჭრეთა, საპნით მოვაჭრეთა, ბეჭდების სახელოსნოების, კუბოების მაღაზიების, ქუდების სახელოსნოების და ძველეულობით სავაჭროების. ზემოხსენებულ დაწესებულებათა პატრონებს, წესდების მე 12 მუხლის ძალით, შეუძლიანთ დღიდან დამტკიცების, ე. ი. 2 ამა ენკენისთვიდან, ერთი კვირის განმავლობაში შემოიტანონ განაწილებეზედ ხარჯვარი, საბჭოს სახელზედ.

შეწერილი გადასახადის რაოდენობის შეტყობა შეიძლება ყოველ დღე დილის 9—3 ს. ქალაქის გამგეობაში, გადასახადთა ბიუროში. 1587 2—2

მოვითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფათ ჯდება, იწვება სოველგვარ ქვემო საბერვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამეცდლოებისათვის **საგანგებოთ დამზადებული ნახშირი და დიდძალი კირი,** საუკეთესო ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, ტფილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ წვრილადაც. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: ტფილისში, გრიბოედოვის ქ. № 6. ტელ. № 11—45. საწყობი ქვა ნახშირისა: დიდუბე, ფოთის ქუჩა, ქალაქის შეშის საწყობის ეზოში.

15—13 1140 •ტყიბულის ქვანახშირის გამსაღებელი **მთავარი საგენტო.**

საქართველოს რკინის გზათა სამმართველოში

16 სექტემბერს 1919 წ. 12 ს. დანიშნულია შეჯიბრება სამუშაოზე ვიწრო და ფართო ლიანდაგის შპალების დასაკეთებლად, შეშისა და ხის ნახშირის დასამზადებლად აჯამეთის ტყეში, ყოფილ ანანოვის ტყის მამულში შემდეგ უბნებში: ა) ჭინჭარაულის, ანანოვის გზა-ტკეცილსა და მდ. ყვირილას შუა 350 დესეტინაადის, ბ) აშხანაურის, აბასთუმანის გზა-ტკეცილსა და მდ. ბანის წყლის შუა 400 დეს., გ) ჩეხის, ანცხეადაროს რკინის გზის შტოს ჩრდილოეთის მხრივ 40 დეს. სულ 790 დესეტინამდის. სამუშაოს ფასი სასურველია ცალ-ცალკე უბნებზე (ჭინჭარაულის, აშხანაურის და ჩეხის) იმ პირებმა, რომლებთაც სურთ შეჯიბრებაში მიიღონ მონაწილეობა, უნდა ჩაუშვან თვისი განცხადება ყუთში დაბეჭდილ პაკეტში რკინის გზის სამმართველოში, საბჭოს კარებთან, ან ფოსტით გამოგზავნონ, არა უგვიანეს 16 სექ. 1919 წ. დღის 12 საათ. განცხადებები დაბეჭდილ კონვერტებში შემდეგი წარწერით: ქ. ტფილისი, საქართველოს რკინის გზათა სამმართველოს საბჭოში. განცხადება აჯამეთის ტყეში დასამზადებელი ტყის ძასალების დასამუშავებელი ფასის შესახებ. დაწვრილებით პირადად ან ფოსტით: ტფილისი, ვაგზლის ქ. სამასალო ნაწილში, დილის 8 საათიდან შუადღის 2 საათამდის. 1588 3—1

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა

პირველი ქართული გუნჯალტერიის კურსები

ორივე სქესისთვის წლოვანობის განურჩევლად **ალ. გ. საათაშვილისა,** წელიწადი მეორე. გუნჯალტერიის სწავლა, კანტორის საქმის ცოდნა და სხვა კომერციული საგნების შეთვისება მოწყობილია პრაქტიკულად. წესდების გაგება და კურსებზე ჩაწერა ყოველ დღე შეიძლება დილის 9—12 ს. და 4—7 ს. ტფილისი, დუშეთის ქ., სახ. № 9 (წყნეთის ქ. ახლოს, 1 უბანი) ტრამვაის ვაგონი № 5 და 9. 1289 3—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

დროებით რედაქტორი **ვიქტორ ნიზაძე.**